**მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 1 მარტის ბრძანებით შექმნილი**

**სამუშაო ჯგუფის სხდომის**

**ოქმი N 1**

**დ. მესტია** **14.08.2023 წ.**

2023 წლის 14 აგვისტოს 17 საათზე ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა კაპიტონ ჟორჟოლიანი-მესტიის მუნიციპალიტეტის მერი „სამუშაო ჯგუფის" თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები:

ნელი ნავერიანი, მერის პირველი მოადგილე, თანათავმჯდომარე.

თეიმურაზ ნავერიანი - საფინანსო სამსახურის უფროსი, სამუსაო ჯგუფის კოორდინატორი.

სალომე კვიციანი - ბიუჯეტის დაგეგმარების და ფორმირების განყოფილების უფროსი.

ქეთევან ხარძიანი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ირაკლი მიქიანი - ა.ა.ი.პ „მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა"-ს დირექტორი.

ლალი გულედანი - ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი.

ირინა ღვაჩლიანი - შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

სოფიო ჩხვიმიანი - სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

ლანა მჭედლიანი - ეკონომიკის და ტურიზმის განვითარების სამსახურის ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი.

მაია ნაკანი - განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეტა სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ალირა უმფრიანი - ბიუჯეტის დაგეგმარების და ფორმირების განყოფილების სპეციალისტი

**დღის წესრიგი:**

1. მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა, სამუშაო ჯგუფის მიერ პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია

პრიორიტეტების 2024-2027 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები(ჭერები) შედეგების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი სალომე კვიციანი.

კაპიტონ ჟორჟოლიანმა კენჭი უყარა, თუ ვინ არის მომხრე დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

სხდომაზე დამსწრე ჯგუფის წევრები თანახმა არიან დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს: მესტიის მუნიციპალიტეტის 2024-2027 პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.~**

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N 385 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა ქალბატონმა სალომე კვიციანმა წარმოადგინა მესტიის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი.

ქ-ნ სალომე კვიციანმა აღნიშნა რომ, საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სამსახურის მიერ შემუშავებულია 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი. დოკუმენტში სხვა ინფორმაციასთან ერთად განსაზღვრულია აღნიშნულ წლებში ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პრიორიტეტებზე და ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

აღინიშნა რომ დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება გადაიხედოს 2024-2027 წლების პრიორიტეტების და პროგრამების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ კაპიტონ ჟორჟოლიანმა სთხოვა სამუშაო ჯგუფის წევრებს კენჭი ეყარათ თუ ვინ არის მომხრე მოწონებული იქნას სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2024-2027 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები. კენჭისყრის შედეგად ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა მოწონებულ იქნას მესტიის მუნიციპალიტეტის 2023-2027 წლების პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში და ეთხოვოს საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით:

- მესტიის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შემდგომ საფინანსო სამსახურმა პროგრამების განმახორციელებელ დარგობრივ სამსახურებს, ა.ა.ი.პ.ი-ებს და შპს-ებს გაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.
- მიმდინარე წლის 25 აგვისტომდე პროგრამების განმახორციელებელმა დარგობრივმა სამსახურებმა, ა.ა.ი.პ.ი-ებმა და შპს-ებმა საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმები წარუდგინონ საფინანსო სამსახურს 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით დადგენილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში.

ამასთან ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნებები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას საბიუჯეტო განაცხადის ფორმით განსაზღვრული წესის შესაბამისად. კერძოდ: მოთხოვნილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იქნას პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ კაპიტონ ჟორჟოლიანმა სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: /კაპიტონ ჟორჟოლიანი/

სამუშაო ჯგუფის წევრები: /ნელი ნავერიანი/

/თეიმურაზ ნავერიანი/

/სალომე კვიციანი/

/ქეთევან ხარძიანი/

/ ირინა ღვაჩლიანი/შვებულება

/სოფიო ჩხვიმიანი/

/ლანა მჭედლიანი/

/მაია ნაკანი/

/ალირა უმფრიანი/

# მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

## 2024-2027 წლები

# შინაარსი


თავიI. ზოგადი ინფორმაციამუნიციპალიტეტისშესახებ ..... 3
ისტორია ..... 3
მდებარეობა ..... 3
ფართობი ..... 3
მმართველობისორგანოები ..... 4
მოსახლეობა ..... 4
ეკონომიკა ..... 5
სატრანსპორტოინფრასტრუქტურა ..... 5
საჯაროდაწესებულებები ..... 5
ღირსშესანიშნაობები ..... 6
ბიუჯეტი ..... 6
თავიII.ძირითადი ფინანსურიმაჩვენებლები ..... 7
შემოსავლებისდა ხარჯებისაგრეგირებულიმაჩვენებელი2019-2024 წლებში ..... 7
შემოსულობები ..... 7
გადასახდელები ..... 7
ბიუჯეტის ბალანსი ..... 8
**2022-2023 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა** ..... 9
2022წლისბიუჯეტისშესრულება ..... 9
2023 წლისბიუჯეტის მიმოხილვა ..... 13
თავიIII.მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამებისაშუალოვადიან პერიოდში ..... 17
ინფრასტრუქტურის განვთარება ..... 19
დასუფთავება და გარემოს დაცვა ..... 24
განათლება ..... 26
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი ..... 27
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ..... 31

# თავიI.ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ



## ისტორია

მესტიის მუნიციპალიტეტი საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს იგი სვანეთის შემადგენელი ნაწილია. მოიცავს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებს და მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის ზემოწელს. ისტორიულ სვანეთში შედიოდა აგრეთვე ე. წ. აფხაზეთის სვანეთი (მდინარე კოდორის ზედა ნაწილი), ზემო რაჭისა და ლეჩხუმის მოსაზღვრე რეგიონები.

ადრინდელ საუკუნეებში სვანეთი კოლხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო, შემდეგ ეგრისის სამეფოსი. XI-XV საუკუნეებში ერთიანი საქართველოს საერისთავო იყო. როდესაც საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად, სვანეთიც რამდენიმე ნაწილად გაიყო: თავისუფალ, სადადეშქელიანო და სადადიანო სვანეთად.

სვანეთმა ქრისტიანობა ლაზიკასთან ერთად 523 წელს მიიღო და ამიტომ სვანებისათვის სალიტერატურო ენად იმთავითვე საერთო ქართული ენა ითვლებოდა.

სვანები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს ძველი და ახალი სამეფოების ცხოვრებაში. სვანეთი და მისი დიდებულები განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში ( დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს.)

ისტორიული სვანეთის ტერიტორიაზე 200-მდე ეკლესია-მონასტერია, ეს ეკლესია-მონასტრები თანამედროვე საქართველოს კულტურის საუნჯე და საგანძურია. შუა

საუკუნეების სვანეთის არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ძეგლები და არქეოლოგიური მასალა მკაფიოდ მეტყველებს სვანი ხალხის მდიდარ კულტურულ წარსულზე. სვანები ყოველთვის ბურჯად ედგნენ საქართველოს მიწა წყალს, მუდამ იზიარებდნენ ქვეყნის ბედს, გამოირჩეოდნენ დედა-სამშობლოსადმი უსაზღრო ერთგულებით.

. სვანეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველია, კერძოდ მათი ეთნოგრაფიული ჯგუფი — სვანები.

## მდებარეობა

მესტიის მუნიციპალიტეტი(ზემო სვანეთი)
მდებარეობსკავკასიონისქედისსამხრეთკალთებზე. მდინარე ენგურის ხეობაში სათავიდან სამეგრელოს საზღვრამდე.აღმოსავლეთით რაჭა **ესაზღვრება**, სამხრეთით სამეგრელო, დასავლეთით —აფხაზეთი, ჩრდილოეთით — ყარაჩაიდაბალყარეთი.
სვანეთიკავკასიაშიყველაზემაღლადასახლებულრეგიონადითვლება.

ზემო სვანეთი ბალის ქედით იყოფოდა ბალსზემოდაბალსქვემოსვანეთად. ბალს ქვემო სვანეთი დადეშქელიანების სამფლობელი იყო, ბალს ზემო სვანეთი კი თავისუფალ სვა ნეთად იწოდებოდა.

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მესტიის მუნიციპალიტეტი(ზემო სვანეთი) შედის სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიაში.

## ფართობი

მესტიის მუნიციპალიტეტი სფართობია 3045კვადრატულ კილომეტრი. ტერიტორიის სიდიდით ქვეყანაში ყველაზე დიდიმუნიციპალიტეტია.მოსახლეობისსიმჭიდროვე1კვ.კმ-ზეარის3.8კაცი.

მესტიის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ფართობი შეადგენს 1010 კვ.კმ-ს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 200-მდე მყინვარია, რომელთა საერთო ფართობია 285 კვ.კმ.ასევე მუნიციპალიტეტის ფართობის დიდი ნაწილი უკავია ტყეებს და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს.

## გეოგრაფია

**მესტიისმუნიციპალიტეტი**
**მდებარეობს** დასავლეთსაქართველოსჩრდილოეთნაწილში, მოიცავსზემოსვანეთისტე რიტორიას, მდინარეენგურისხეობას ენგურისსათავიდანსამეგრელოსსაზღვრამდე დამი სიშემადგენელი **ადმინისტრაციულიერთეულებია**: დაბამესტია, ბეჩო, ეცერი, იდლიანი, იფარი, კალა, ლახამულა, ლატალი, ლენჯერი, მულახი, ნაკრა, უშგული, ფარი, ცხუმარი, წვირმი, ჭუბერი, ხაიში.

ზემოსვანეთიბალისქედითიყოფაბალსზემოდაბალსქვემოსვანეთად.
მესტიისმუნიციპალიტეტიმაღალმთიანიარაიონში 200-მდემყინვარია,

სვანეთშიმდებარეობსკავკასიისუმაღლესიმწვერვალები: შხარა (5 201 მ), თეთნულდი (4 974 მ), შოთარუსთაველი (4 960 მ), უშბა (4 710 მ), დასხვა.
მესტიის მუნიციპალიტეტის **მთავარიმდინარეა** ენგური, მისიშენაკადებია — ადიშისჭალა, მულხურა, დოლრა, ნენსკრა, იფარი, ხაიშურადასხვა.
ზემოსვანეთშიზღვისდონიდან 2000 მსიმაღლემდენოტიო **ჰავაა**, ზამთარიცივიადაგრძელი, ხოლოზაფხულიხანმოკლე, თბილიდაზოგჯერცხელიც. **საშუალოწლიურიტემპერატურა** 5,7°C-ი ა .იანვარში -6,4°C, ივლისში 16,4°C. ტემპერატურისაბსოლუტურიმინიმუმი -25°C, აბსოლუტურიმაქსიმუმი +35°C. ნალექის რაოდენობა წელიწადში 1035 მმზემოსვანეთისყველაზემაღალადგილებში, ნამდვილზაფხულსმოკლებულინოტიოდაგრილიჰავაა.

## მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 33 წევრისგან. მათგან 22 არჩეულია პროპორციული, ხოლო 11 მაჟორიტარული სისტემით. წარმომადგენლობით ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს სამი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5კომისია, ესენია:

1. საპროცედურო საკითხთა კომისია.
2.საფინანსო-საბიუჯეტოკომისია;
3 ურბანული განვითარების კომისია.
3.ეკონომიკის საკითხთა და ტურიზმის განვითარების კომისია.
5.სოციალურ საკითხთა კომისია.

მესტიის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტებში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ) და მუნიციპალური შპს-ს მეშვეობით.

## მოსახლეობა ადმინისტრაციული ერთეულები

მუნიციპალიტეტში მდებარეობს 1 დაბა და 17 ტერიტორიული ერთეული რომელთა შემადგენლობაში შედის 160 სოფელი

1. ტერიტორიული ერთეული მესტია
2. ტერიტორიული ერთეული ბეჩო — ბაგვდანარი, გალაში, დოლასვიფი, დოლი, ლანხვრი, მაზერი, ნაშთქოლი, ტვებიში, უშხვანარი, ქართვანი, ცხეკვანი, ჭკიდანარი, ჭოხულდი;
3. ტერიტორიული ერთეულიეცერი — ბარში, გვალდერი, ისკარი, კალაში, ლადრერი, ლანტელი, ლაშხრერი, უსგვირი, უღვალი, ფხუტრერი, ქურაში, ცალანარი, ჭელირი, ჰებუდი;
4. ტერიტორიული ერთეულიიდლიანი — იდლიანი, ლებურცხილა, ნაშიხვი, ჭალე;
5. ტერიტორიულიერთეულიიფარი — ადიში, ბოგრეში, ზეგანი, ნაკიფარი;
6. ადმინისტრაციულიერთეულიკალა — დავბერი, ვიჩნაში, იფრარი, ლალხორალი, ხალდე, ხე;
7. ტერიტორიულიერთეულილატალი — იენაში, იფხი, კვანჭიანარი, ლახუშდი, ლაჰილი, ლელბაგი, ლეშუკვი, მაცხვარიში, ნანყვამ-ზაგრალი, სიდიანარი, შყალერი;
8. ტერიტორიულიერთეულილახამულა — გენწვიში, დიზი, თოთელეში, ლახამულა, ნოდაში, ნოღარი-კეცლანი, ქვედაიფარი, შდიხირი, ხელრა, ჰამაში;

9. ტერიტორიული ერთეული ლენჯერი — კაერი, ლაშთხვერი, ლემსია, ნესგუნი, სოლი, ქაშვეთი, ჰეშკილი;
10. ტერიტორიული ერთეული მულახი — არცხელი, ზარდლაში, ლახირი, მაჯვდიერი, მურშკელი, ჟაბეში, ჟამუში, ღვებრა, ჩვაბიანი, ცალდაში, ჭოლაში;
11. ტერიტორიული ერთეულინაკრა — ანილი, თავრალი, კვიცანი, კიჩხულდაში, ლაშხრაში, ლაწომბა, ლენკვაში, ნაკრა, ცალერი, ხერხვაში;
12. ტერიტორიული ერთეული უშგული — ლამჯურიში, მურყმელი, ჟიბიანი, ჩაჟაში, ჩვიბიანი;
13. ადმინისტრაციული ერთეული ფარი — ზაგარი, ზედალუჰა, კაცხი, ლამხერი, ლაყვრი, სვიფი, ფალედი, ფარი, ქვედალუჰა, ღეშდერი, ყვანა, ხოსრარი;
14. ტერიტორიული ერთეული ცხუმარი — ლაბსყალდი, ლეზგარა, მაგარდელი, სვიფი, ტვიბერი, ღვებალდი;
15. ტერიტორიულიერთეულიწვირმი — ასკარტი, აცი, იელი, ჩობანი, წვირმი;
16. ტერიტორიულიერთეულიჭუბერი — დევრა, ზედამარღი, ლარილარი, ლახამი, ლეკულმახე, ლეწფერი, სგურიში, ტიტა, ქვემომარღი, ყარი;
17. ტერიტორიულიერთეულიხაიში — ბარჯაში, გაღმახაიში, ზედავედი, ზედაწვირმინდი, ზედახაიში, ზემოვედი, თოთანი, ლალხორალი, ლახანი, ლუხი, მუხაშერა, ნაკი, ნალქორვალი, ნანყბული, სკორმეთი, ტობარი, ქედანი, ქვედავედი, ქვედაწვირმინდი, შგედი, ციცხვარი, ჭერი, ხაიში, ჯორკვალი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა მესტია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრზე.დედაქალაქიდან დაშორებულია 456კმ-ით. ქ. ზუგდიდამდე მანძილია 138 კმ.

მესტიის მუნიციპალიტეტში შიდასასოფლო გზების სიგრძეა -864 კმ.ტერიტორიული ერთეულების ცენტრალურ საავტომობილო გზასთან დამაკავშირებელი გზების სიგრზეა - 78 კმ.

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მერიის სტატისტიკის განყოფილების მონაცემებით მიხედვით შეადგენს 11 575 ადამიანს. მათ შორის 5785 ქალი და 5790 კაცი. დ. მესტიაში ცხოვრობს 2613 ადამიანი(1408 ქალი. 1205 მამაკაცი)დასოფლად8962ადამიანი(მ.შ. 4377 ქალი, 4585 მამაკაცი)ცხოვრობს.

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 0,2%,ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთისრეგიონის2.8%-სშეადგენს.

| მესტიისმუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა დარეგიონის მონაცემებთან 2018წლის მონაცემებისმიხედვით | | |
|---|---|---|
| დასახელება | მოსახლეობა | ფართობი (კვ.კმ) |
| სულსაქართველო | 3716900 | 69700,0 |
| სამეგრელო-ზემოსვანეთის რეგიონი | 330761 | 7441 |
| მესტიისმუნიციპალიტეტი | 9316 | 3045 |
| პროცენტისაქართველოსთან | 0,2% | 4.3 % |
| პროცენტირეგიონთან | 2.8% | 40% |

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 2 021 პენსიონერი.

0-5 წ. ასაკის 994 ბავშვი,

6-18 წ. ასაკის 1938 მოზარდი,

1 385 ოჯახი სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონეა.

მაღალმთიანი დასახლებაში მცხოვრების სტატუსი 2016 წლის 01 თებერვლიდან დღემდე, მინიჭებული აქვს 7 975 ადამიანს.

## ეკონომიკა

მესტიის მუნიციპალიტეტში მკაცრი კლიმატისა და მთიანი რელიეფის გამო უპირატესად განვითარებულია მეცხოველეობა, რომელიც საკვები ბაზაა ბუნებრივი სათიბ-საძოვრებიმნიშვნელოვანი. მცირერაოდენობითითესებამარცვლეულიკულტურებიდა კარტოფილი.
მესტიისმუნიციპალიტეტი ტურიზმისა და ალპინიზმის კერაა — აქ გადის მაღალმთიანი ტურისტული მარშრუტები ნაკრის, ბეჩოს, ლეხზირისა დალატფარის უღელტეხილებზე.
მესტიის მუნიციპალიტეტის მდიდარია წყლის რესურსებით. აქ არსებული ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუსავებულ ენერგიას მნისვნელოვანი ადგილი აქვს ქვეყნის ელექტრომომარაგებაში

## სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

მესტიის მუნიციპალიტეტს ემსახურება ადგილობრივი მნიშვნელობის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი.
უახლოესი რკინიგზის სადგური მდებარეობს ქ. ზუგდიდში. ზუგდიდთან მესტია დაკავშირებულია საავტომობილო გზით.

## საჯარო დაწესებულებები

მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 22 საჯარო სკოლა, სადაცსწავლობს 2900მოსწავლე;
- 21საბავშვობაღი - სააღმზრდელო პროცეს გადის 450 ბავშვი;
- კულტურის სახლებში - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს 1200 აღსაზრდელი;
- 1 საშუალოპროფესიულისასწავლებელი;
- 15 ბიბლიოთეკა;
- ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორისთეატრი;
- მუზეუმები;
- სპორტული ცენტრიები;
- ანსამბლი რიჰო
- სალოტბარო სკოლა
- ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი ბანგურიანი

## ღირსშესანიშნაობები

სვანეთი ცნობილია არქიტექტურული ძეგლებით. **ბუნებასთან** შეხამებულიკოშკებიანი მაჩუბებით,ქართულიხუროთმოძღვრების, ჭედურობისა თუ მხატვრობის მნიშვნელოვანი ნიმუშებით. ი გ ი მრავალსაუკუნოვანიკულტურით, **მუზეუმებით, კულტურული ძეგლებით, კურორტებით**წარუშლელშთაბეჭდილებასახდენსმნახველზე. სვანეთისბუნებაკიუდავოდმომნუსხველიაალპურიმდელოებით, კლდეებით, მწვერვალებით, ჩანჩქერებითათუულამაზესიალპურიტბებით. ეს მხარე ერთნაირად მიმზიდველია კულტურით დაინტერესებული ადამიანებისთვის, მთამსვლელებისთვის, მოთხილემურეებისთვისა და უბრალოდ ხეტიალის, მთაში დასვენების და მასშტაბური ხედების მოყვარულთათვის.

## ბუნება

- შდუგრას ჩანჩქერი
- ჭალაადის ყინულვარდნილი
- ქორულდის ტბები
- მწვერვალი ლაილა
- ცხუმარის კარსტული მღვიმე
- მეზირის ტბა

კულტურული ძეგლები

- ლამარია (უშგულის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი)
- ლაგურკა (კალას წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესია)
- იფრალის მთავარანგელოზთა ეკლესია
- ნაკიფარისწმ. გიორგისეკლესია
- მაცხვარიშის მთავარანგელოზთა ეკლესია
- იენაშის იონა წინასწარმეტყველის ტაძარი
- ლაშთხვერისმთავარანგელოზთაეკლესია
- ფხოტრერის მთავარაგნელოზთა ტაძარი
- ჩვაბიანისმაცხოვრისეკლესია
- წვირმის მაცხოვრის ტაძარი
- წვირმის წმ. გიორგის ტაძარი
- ლაღამის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი
- სვიფის წმ. გიორგის ტაძარი
- უღვალის წმ. გიორგის ტაძარი

მუზეუმები

- სვანეთისისტორიულ-ეთნოგრაფიულიმუზეუმი
- მიხეილხერგიანისსახელობისსახლ-მუხეუმი

კურორტები

- სათხილამუროკურორტიჰაწვალი
- სათხილამუროკურორტითეთნულდი

## ბიუჯეტი

მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 19 050.3ათას ლარს.

ბიუჯეტის შემოსულობები19 050.3 ათასი ლარი.აქედან შემოსავლები 17 000.3 ათასი ლარი.მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადი-8 200.3 ათასი ლარი. ქონების გადასახადი -8 800 ათასი ლარი

სხვა შემოსავლები - 1 800 ათასი ლარი..

მიზნობრივი ტრანსფერი -250 ათასი ლარი.

# თავიII. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი2022-2027წლებში

## შემოსულობები

### მესტიის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით2022–2027წლებში

*ათასილარი*

| დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 წ. 6 თვეფაქტი | 2024 პროექტი | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსულობებისულ | 30403421 | 17251659 | 21500400 | 23682200 | 26515200 | 27877800 |
| შემოსავლები | 30403421 | 17251659 | 21500400 | 23682200 | 26515200 | 27877800 |
| გადასახადები | 15692543 | 11396755 | 19650400 | 22313000 | 25020200 | 25992800 |
| დამატებულიღირებულებისგადასახადი | 6797016 | 3928756 | 10250400 | 12813000 | 15520200 | 16792800 |
| ქონებისგადასახადი | 8895527 | 7467999 | 9400000 | 9500000 | 9500000 | 9200000 |
| გრანტები | 12669715 | 5318545 | 250000 | 250000 | 250000 | 250000 |
| სხვაშემოსავლები | 2041163 | 536359 | 1600000 | 1119200 | 1245000 | 1635000 |

## გადასახდელები

### მესტიის მუნიციპალიტეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით 2022 – 2027 წლებში

*ათასილარი*

| დასახელება | პრიორიტეტის კოდი | 2022ფაქტი | 2023 6 თვის ფაქტი | 2024 პროექტი | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 როგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გადასახდელებისულ | | 31869200 | 12551463 | 21500400 | 23682200 | 26515200 | 27877800 |
| ინფრასტრუქტურისგანვითარება | 0200 | 17573067 | 4385249 | 5288000 | 6290000 | 8030000 | 7402000 |
| დასუფთავება დაგარემოსდაცვა | 0300 | 1779917 | 670239 | 1708800 | 1815800 | 1930800 | 2159800 |
| განათლება | 0400 | 3001463 | 1970413 | 2036800 | 2190000 | 2280000 | 2570000 |
| კულტურა,ახალგაზრდობა დასპორტი | 0500 | 2428584 | 1462846 | 3245600 | 3519810 | 3775000 | 4551000 |
| მოსახლეობისჯანმრთელობის დაცვა დასოციალურიუზრუნველყო | 0600 | 1006262 | 815682 | 1483200 | 1558000 | 1664400 | 1895000 |
| მმართველობა დასაერთოდანიშნულები | 0100 | 6079907 | 3247034 | 7738000 | 8308590 | 8835000 | 9300000 |

## ბიუჯეტის ბალანსი

### მესტიის მუნიციპალიტეტისბიუჯეტისბალანსი 2024–2027 წლებში

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | 2025 წლის პროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 30403421 | 17251659 | 21500400.00 | 23682200.00 | 26515200.00 | 27877800.00 |
| გადასახადები | 15692543 | 11396755 | 19650400.00 | 22313000.00 | 25020200.00 | 25992800.00 |
| გრანტები | 12669715 | 5318545 | 250000.00 | 250000.00 | 250000.00 | 250000.00 |
| სხვა შემოსავლები | 2041163 | 536359 | 1600000.00 | 1119200.00 | 1245000.00 | 1635000.00 |
| ხარჯები | 16443735 | 8483548 | 17728968 | 18936200 | 20019000 | 21967800 |
| საოპერაციო სალდო | 13959686 | 8768111 | 3771432 | 4746000 | 6496200 | 5910000 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 15164258 | 3929620 | 3466000 | 4565200 | 6455900 | 5910000 |
| ზრდა (ა) | 15164258 | 3929620 | 3466000.00 | 4565200 | 6455900 | 5910000 |
| მთლიანი სალდო | -1204572.00 | 4838491 | 305432 | 180800 | 40300 | 0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -1465778.00 | 4700196 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| ზრდა (ფ) | 0 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| კლება (ფ) | -1465778 | | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| ვალდებულებების ცვლილება | 261206 | 138296 | 305432 | 180800 | 40300 | 0 |
| კლება (ვ) | 261206 | 138296 | 305432 | 180800 | 40300 | 0 |
| ბალანსი | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

# 2022-2023 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

*2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი*

2022 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 5 006,6 ათასი ლარი. ხოლო 2022 წლიდან გარდამავალი ნაშთი შეადგენს 3 540,9 ათას ლარს.

მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა განისაზღვრა 30 060,3 ათასი ლართ, შემოსავლებმა შეადგინა 30 403,4 ათასი ლარი , რაც გეგმის 101% -ია.

გადასახადებიდან მიღებულა შემოსავალმა შეადგინა 15 692,5 ათასი ლარი,რაც დაგეგმილი თანხის (15 691,0 ათასი ლარი)100% მათ შორის: ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 8 895,5 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი თანხის (9 136,0 ათასი ლარი)97 %

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 6 797,0 ათასი ლარი. რაც დაგეგმილ მაჩვენებელთან (6 555,0 ათასი ლარი) შედარებით 242,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია,ანუ გეგმა შესრულდა გადაჭარბებით 104%.

<u>II</u> გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 12 669,7 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი თანხის (12 569,3 ათასი ლარი)101% შეადგენს.

III სხვა შემოსავლები საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრულია 1 800,0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 2 041,2 ათასი ლარი შეადგინა, გეგმას გადააჭარბა 241,2 ათასი ლარის ოდენობით,გეგმა შესრულდა 113%-ით.

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 35 066.9 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 31 869,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91 %-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16 755,9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 16

443,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98 %-ი.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 18 049,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 15 164,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84 %-ი .

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 261,2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 261,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი .

მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხები მიიმართა შემდეგ პრიორიტეტების დასაფინანსებლად :

- ინფრასტრუქტურა- 17 573,1 ათასი ლარი,
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1 779,9 ათასი ლარი,
- განათლება - 3 001,5 ათასი ლარი,
- კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი,2 428,6 ათასი ლარი,
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1 006,3 ათასი ლარი,
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 6 079,9 ათასი ლარი.



სარეზერვო ფონდი

2022 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 300,0 ათასი ლარი სრულად იქნა ათვისებული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.

## 2023 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

2023 წლის 6 თვის მონაცემებით შემოსულობების გეგმა შესრულდა გადაჭარბებით და შეადგინა 17 251.6 ათასი ლარი, მათ შორის
საგადასახადო შემოსავლების მუხლით მობილიზდა 11 396.7ათასი ლარი,

„გრანტები" (კოდი 1.3) მუხლით ბიუჯეტში შემოვიდა 5 318.5 ათასი ლარი,

„სხვა შემოსავლები"-დან 253.1ათასი ლარი მობილიზდა ბიუჯეტში 6 თვის განმრავლობაში,

რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, 2023 წლის 6 თვის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები პრიორიტეტების და პროგრამების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება(ორგ.კოდი 01 00)-3 247,03 ათასი ლარი,მათ შორის:
   - მუნიციპალიტეტის საკრებულო -722.8 ათასი ლარი,
   - მესტიის მუნიციპალიტეტის მერია - 2 287.6 ათასი ლარი,
   - მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა- 181.4ათასი ლარი,
   - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა-55.1ათასი ლარი,
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (ორგანიზ.კოდი 02 00)- 4 385.2 ათასი ლარი,მათ შორის:
   - მესტიის მუნიციაპლიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია-1 588.3ათასი ლარი,
   - გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 209.3 ათასი ლარი,
   - წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 307.3 ათასი ლარი,
   - მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა-1 099.9 ათასი ლარი,
   - სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 635.4 ლარი,
   - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 238.7ათასი ლარი,
   - საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება- 224.6ათასი ლარი,
   - ა.ა.ი.პ ახალგაზრდული თვითმმართველობა - 81.3 ათასი ლარი,
3. დასუფთავება და გარემოს დაცვა(ორგ.კოდი 03 00) -670.2 ათასი
   - ა.აიპ"დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური"-670.2 ათასი ლარი,
4. განათლება(ორგ.კოდი04 00)- 1 970.4 ათასი ლარი.
   - სკოლამდელი განათლების დაფინანსება-931.1 ათასი ლარი,
   - სკოლების თანადაფინანსება -1 0392 ათასი ლარი,
5. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები(ორგ.კოდი 05 00) 1 462.8ათასი ლარი
   - ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი - 488.6 ათასი

- **აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობა** -37.9 ათასი ლარი,
- **ბიბლიოთეკების დაფინანსება** -58.6 ათასი ლარი,
- **ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი"** -448.6 ათასი ლარი,
- **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი**--51.2 ათასი ლარი,
- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება** -212.1 ათასი ლარი,
- **აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან -ლანდ**-165.8ათასი ლარი.

6. **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**(ორგ.კოდი06 00) - 815.6ათასი ლარი.
   - ა.ა.ი.პ საზოგადოებრივი ჯანდაცვა -43.9ათასი ლარი,
   - მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების თანადაფინანსება - 272.9 ათასი ლარი,
   - მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა-363.4ათასი ლარი,
   - სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება - 67.5 ათასი ლარი,
   - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება - 55.2ათასი ლარი,
   - ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა - 12.6 ათასი ლარი.

**2023 წლის მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 300,0 ათასი ლარი ათვისებულ იქნა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.**

## თავიIII. მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

- ინფრასტრუქტურა;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება;

**„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანების შესაბამისად 2024-2027 წლებში ბიუჯეტის განსაზღვრულ პრიორიტეტებზე და ბიუჯეტიდან დაფინანსებული ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვროს შემდეგი ოდენობებით:**

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2024 წლის გეგმა | 2025წლის პროგნოზი | 2026წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| | სულ ჯამი | 21500400 | 23682200 | 26515200 | 27877800 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 7738000 | 8151390 | 8527200 | 8930000 |
| 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 1597000 | 1714590 | 1790000 | 1860000 |
| 01 02 | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | 5285955 | 5650000 | 6050000 | 6350000 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 380000 | 450000 | 490000 | 550000 |
| 01 04 | წინა პეროდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი | 346700 | 192800 | 42200 | 0 |
| 01 04 02 | მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა | 346700 | 192800 | 42200 | 0 |
| 01 04 03 | სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები | 0 | | | |
| 01 05 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 128345 | 144000 | 155000 | 170000 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 5288000 | 6435200 | 8335900 | 7772000 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) | 50000 | 200000 | 300000 | 200000 |
| 02 01 01 | მესტიის მუნიციაპლიტეტში | 50000 | 200000 | 300000 | 200000 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | გზების და ხიდების რეაბილიტაცია | | | | |
| 02 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 567400 | 760000 | 1050000 | 740000 |
| 02 02 01 | გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 417400 | 460000 | 550000 | 520000 |
| 02 02 02 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 150000 | 300000 | 500000 | 220000 |
| 02 03 | მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 1600000 | 1700000 | 2000000 | 2100000 |
| 02 04 | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 400000 | 500000 | 700000 | 800000 |
| 02 05 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 0 | | | |
| 02 06 | რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხოეციელებული პროექტების თანადაფინანსება | 1356000 | 1845200 | 2805900 | 2370000 |
| 02 07 | საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება | 800000 | 900000 | 900000 | 1000000 |
| 02 08 | აიპ ახალგაზრდული თვითმართველობა | 514600 | 530000 | 580000 | 562000 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1708800 | 1815800 | 1930800 | 2159800 |
| 03 01 | აიპ "მესტიის დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური" | 1708800 | 1815800 | 1930800 | 2159800 |
| 04 00 | განათლება | 2036800 | 2190000 | 2280000 | 2570000 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | 2036800 | 2190000 | 2280000 | 2570000 |
| 04 02 | სკოლების თანადაფინანსება | 0 | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 3245600 | 3519810 | 3775000 | 4551000 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 1185500 | 1280000 | 1375000 | 1700000 |
| 05 01 01 | ა(ა)იპ სპორტული სკოლების გაერთიანება | 1105500 | 1190000 | 1280000 | 1560000 |
| 05 01 02 | აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობა | 80000 | 90000 | 95000 | 140000 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 1327100 | 1459810 | 1555000 | 1751000 |
| 05 02 01 | ბიბლიოთეკების დაფინანსება | 145600 | 155160 | 165000 | 175000 |
| 05 02 02 | ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი" | 1050000 | 1160000 | 1230000 | 1400000 |
| 05 02 03 | კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი | 131500 | 144650 | 160000 | 176000 |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 270000 | 280000 | 290000 | 400000 |
| 05 04 | აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლანდ | 463000 | 500000 | 555000 | 700000 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1483200 | 1558000 | 1664400 | 1895000 |
| 06 01 | მოსახლეობის ჯანდაცვის ხელშეწყობა | 500200 | 505000 | 542400 | 565000 |
| 06 01 01 | აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვა | 95200 | 100000 | 107000 | 115000 |
| 06 01 02 | მესტიის სავადმყოფოს-ამბულატორიული გაერთიანების თანადაფინანსება | 405000 | 405000 | 435400 | 450000 |
| 06 02 | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 710000 | 760000 | 800000 | 900000 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06 03 | სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება | 100000 | 110000 | 115000 | 140000 |
| 06 04 | უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა | 55000 | 60000 | 70000 | 100000 |
| 06 05 | შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება | 103000 | 103000 | 110000 | 150000 |
| 06 06 | ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა | 15000 | 20000 | 27000 | 40000 |

## ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, ტურიზმის და სხვა დარგების განვითარებას. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლისსისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვააუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა .

*ათასლარი*

| პროგრამული. კოდი | დასახელება | 2024 წლისპროექტი | 2025წლისპროგნოზი | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლისპროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| **02 00** | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 5288000 | 6435200 | 8335900 | 7772000 |
| **02 01** | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა | 50000 | 200000 | 300000 | 200000 |
| **02 01 01** | მესტიის მუნიციაპლიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია | 50000 | 200000 | 300000 | 200000 |
| **02 02** | კომუნალური ინფრასტრუქტურის | 567400 | 760000 | 1050000 | 740000 |
| **02 02 01** | გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 417400 | 460000 | 550000 | 520000 |
| **02 02 02** | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და | 150000 | 300000 | 500000 | 220000 |
| **02 03** | მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | 1600000 | 1700000 | 2000000 | 2100000 |
| **02 04** | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა- | 400000 | 500000 | 700000 | 800000 |
| **02 05** | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 0 | | | |
| **02 06** | რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული | 1356000 | 1845200 | 2805900 | 2370000 |
| **02 07** | საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურების | 800000 | 900000 | 900000 | 1000000 |
| **02 08** | აიპ ახალგაზრდული თვითმართველობა | 514600 | 530000 | 580000 | 562000 |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. 02.00 | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 01 | | **მესტიის მუნიციაპლიტეტში გზების და ხიდების რეაბილიტაცია და მშენებლობა** | **50000** | **200000** | **300000** | **200000** |

| | |
|---|---|
| **ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური** |
| **პროგრამის აღწერა** | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტოტიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაციას, კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის წილი დაახლოებით 22-25%-ს შეადგენს, რომელიც მოიცავს თანადაფინასებას, გზების რეაბილიტაციას, მიმდინარე შეკეთებას და მოვლა პატრონობას. სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა ხორციელდება საჭიროებებიდან გამომდინარე მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად.<br>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:<br>ა/. საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია<br>ბ/. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა.<br>გ/. ხიდების რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა.<br>დ/. საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა და შენახვა |
| **პროგრამის მიზანი** | ქვეპროგრამის მიზანს წარმოაგენს:<br>ბ/. მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა,<br>გ/. გადაადგილების უსაფრთხოების გაზრდა და ტრანსპორტირებისთვის საჭირო ხარჯების შემცირება. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | ა/. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება. ბ/. საავტომობილო გზების ექსპლოატაციის გაზრდილი პერიოდი. |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. 02.00 | 2024 წლის დაფინანსება | 2025 წლის დაფინანსება | 2026 წლის დაფინანსება | 2027 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 02 | | **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **567400** | **760000** | **1050000** | **740000** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარე–განათების ქსელის გაფართოება.არსებული ქსელის მოვლა–შენახვა და ექსპლოატაცია. პროგრამით უზრუნველყოფილია წყლის სისტემის და საკანალისაციო სისტემის რეაბილიტაცია. | | | | |
| პროგრამის მიზანი | | ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის მოწესრიგებული საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის შექმნა | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | | ახალი გარე განათების რეაბილიტირებული სისტემის მოწყობა.<br><br>მოწესრიგებული წყლის სისტემა. | | | | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | გარე განათების მოწყობა ექსპლოატაცია (მოვლა პატრონობა) | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 02 01 | | | 417400 | 460000 | 550000 | 520000 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | გარე განათების მოწყობა აუცილებელ და ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. რადგან პირველ რიგში ვართ ტურისტული ზონა და აუცილებელია ისტორიული ძეგლების(კოშკების) განათება. ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადადგილებისათვის როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ისე ტურისტული კუთხით. | | | | |
| პროგრამის მიზანი | | გარე განათების მოწყობა და უზრუნველყოფა | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | | უსაფრთხო გადაადგილება. | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 02.00 | | | | |
| 02 02 02 | | მესტიის მუნიციაპლიტეტში წყლის სისტემების რეაბილიტაცია და მშენებლობა | **150000** | **300000** | **500000** | **220000** |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახალი სისტემების მშენებლობა. აღნიშნული პროგრამა ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას. |
| პროგრამის მიზანი | ქვეპროგრამის მიზანია<br>ა/. წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება<br>ბ/. წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა რეაბილიტაცია. |
| მოსალოდნელი შედეგი | სტანდარტების შესაბამისი წყალგაყვანილობისა და წყალარინების სისტემების მოწყობა. მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 02.00 | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 03 | | მესტიის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა | **1600000** | **1700000** | **2000000** | **2100000** |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური | | | | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამები;<br>• საბავშვო ბაღების მშენებლობა და რეაბილიტაცია<br>• საჯარო სკოლების მშენებლობა და რეაბილიტაცია.<br>• სამედიცინო ამბულატორიების მშენებლობა და რეაბილიტაცია.<br>• სპორტულ გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია.<br>• კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენახვა რესტავრაცია<br>• სკვერები, პარკები და სხვა დასასვენებელი ადილების მოწყობა<br>პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უმნიშვნელოვანესი რესურსის-ადამიანური კაპიტალის და მისი განვითარების ყველა საფეხურზე სათანადო პირობების შექმნა. აქედან გამომდინარე ქვეპროგრამები ითვალისწინებენ უწყვეტი სწავლის სისტემების განვითარების ხელშეწყობას, პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას |
| პროგრამის მიზანი | პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უმნიშვნელოვანესი რესურსის-ადამიანური კაპიტალის და მისი განვითარების ყველა საფეხურზე სათანადო პირობების შექმნა. აქედან გამომდინარე ქვეპროგრამები ითვალისწინებენ უწყვეტი სწავლის სისტემების განვითარების ხელშეწყობას, პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას |
| მოსალოდნელი შედეგი | გაზრდილია ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო. პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის მიზნით შექმნილი უსაფრთხო პირობები და გაუმჯობესებულია სპორტული ინფრასტრუქტურა. |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 02.00 | 2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 04 | | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია | 400000 | 500000 | 700000 | 800000 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | მესტიის მუნიციპალიტეტში ხშირია ბუნებრივი სტიქიური პროცესები და რისკების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ისეთი საპრევენციო ღონისძიებების სისტემატური განხორციელება, როგორიცაა ნაპირდამცავი გაბიონებისა და ჯებირების მშენებლობა, გზის საყრდენი კედლების მშენებლობა და რეაბილიტაცია ღელეებისა და ხევების განტვირთვა-გაწმენდა ღვარცოფებისა და მეწყერის შედეგად | | | | | |

| | |
|---|---|
| | ჩამოტანილი ნაშალისაგან. სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია |
| **პროგრამის მიზანი** | სტიქიის შედეგებისგან მოსახლეობა, სახნავ სათესი მიწის სავარგულების და სხვადასხვა ინფრასტრუქტურის დაცვა (გზები, ხიდები, შენობა-ნაგებობები, მიწისქვეშა საკომუნიკაციო ობიექტები და სხვა). |
| **მოსალოდნელი შედეგი** | სტიქიის შედეგებისგან დაცული მოსახლეობა, სახნავ სათესი მიწის სავარგულები და სხვადასხვა ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, შენობა-ნაგებობები, მიწისქვეშა საკომუნიკაციო ობიექტები და სხვა). |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 05 | | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | 00 | 000 | 00 | 00 |
| **პროგრამის განმახორციელებელი სამსახური** | **მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური** | | | | | |
| **პროგრამის აღწერა** | პროგრამის მიზანია სოფლის მოსახლეობის სრული ჩართულობით შერჩეული პრიორიტეტებისა და საჭიროებების შესაბამისად წარმოდგენილი ისეთი პროექტების დაფინანსება, როგორიცაა სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა, შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება, წყალგაყვანილობის სისტემების რეაბილიტაცია, სპორტული მოედნების მოწყობა და სხვა. | | | | | |
| **პროგრამის მიზანი** | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოწესრიგებული სხვადასხვა ობიექტები | | | | | |
| **მოსალოდნელი შედეგი** | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოწესრიგებული სხვადასხვა ობიექტები | | | | | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 02.00 | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 06 | | რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განხორციელებული პროექტების თანადაფინანსება | 1356000 | 1845200 | 2805900 | 2370000 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში ადგილობრივი ბიუჯეტის წილი დაახლოებით 5-10%-ს შეადგენს, რომელიც მოიცავს თანადაფინასებას, სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევა ხორციელდება საჭიროებებიდან გამომდინარე მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად. | | | | | |
| პროგრამის მიზანი | მოწესრიგებული და განვითარებული ინფრასტრუქტურა | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოწესრიგებული და განვითარებული ინფრასტრუქტურა | | | | | |

| კოდი | პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 02.00 | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 07 | | საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურების დაფინანსება | 800000 | 900000 | 900000 | 1000000 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და მისი შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგეს სწორი დაგეგმვა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. სამუშაოთა წარმოების პროცესში კი მნიშვნელოვანია სამუშაოთა წარმოების მიმდინარეობაზე სრული დაკვირვება და კონტროლი. | | | | | |
| პროგრამის მიზანი | ინფრასტრუქტურის განვითარების სწორი დაგეგმვა. შეცდომებისა და ხარვეზების თავიდან აცილება | | | | | |

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგი** | მოწესრიგებული და განვითარებული ინფრასტრუქტურა |

| კოდი | პროგრამის დასახელება | მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა | 2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 08 | | | **514600** | **530000** | **580000** | **562000** |

| | |
|---|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა** |
| პროგრამის აღწერა | ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა შექმნილია ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო და სხვა მიმართულებებთან ერთად მოიაზრებს მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის წინაშე მდგარი გამოწვევების მოგვარებაზე მუშაობას, ახალგაზრდობის საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიის შექმნასა და განხორციელებას, ახალგაზრდების ჩართვას მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან პროცესებში და განვითარებაზე ორიენტირებულ მცირე, საშუალო და დიდი მასშტაბის პროგრამებსა და პროექტებში.<br>სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მესტიის მუნიციპალიტეტის სრულ მოსახლეობაში 25 წლამდე ახალგაზრდები შეადგენს მოსახლეობის 38.4%-ს (4394). აქიდან სრულწლოვანი ახალგაზრდების რაოდენობა 1475-ია. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი სკოლის დამთავრებისთანავე (ხშირად უკვე მე-11 კლასიდან) მიემგზავრება დედაქალაქსა თუ სხვა ქალაქებში უნივერსიტეტებისთვის მოსამზადებლად და უმაღლესი განათლების მიღების მიზნით. სამწუხაროდ, ახალგაზრდების ასევე დიდი ნაწილი უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ, პოულობს სამუშაოს დედაქალაქში თუ სხვა ქალაქებში და იქვე იკეთებს კარიერას. მესტიის მკვიდრი ახალგაზრდობის მხოლოდ მცირე ნაწილი ამჯობინებს უმაღლესი განათლების მიღების შემდგომ საკუთარი კარიერის მესტიის მუნიციპალიტეტში შექმნას. ზემოთხსენებული უარყოფითად აისახება მესტიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებზე, მათ შორის, ნაკლები ახალგაზრდა პროფესიონალის ყოფნა მესტიაში ნიშნავს ნაკლებ და ნაკლებად ეფექტიან საწარმოებს, უფრო არაკვალიფიციურ სამუშაო ბაზარს, უფრო დაბალი ხარისხის საჯარო მმართველობას, უფრო ნაკლებ შესაძლებლობებს და ინოვაციას რიგ ეკონომიკურ სფეროებში.<br>ამის საპირისპიროდ, ჩვენი ხედვით, მესტიის მუნიციპალიტეტში უმაღლეს განათლებამიღებული ახალგაზრდა პროფესიონალების დაბრუნება ნიშნავს მეტ ეკონომიკურ შესაძლებლობას, კერძო და საჯარო სექტორში მეტ კვალიფიციურ მუშახელს, მეტ ახალ და განვითარებაზე ორიენტირებულ ინიციატივას და უკეთეს სოციო-ეკონომიკურ ფონს. |
| პროგრამის მიზანი | **ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან საკითხებში** |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვან პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის დონის ზრდა |

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბა მესტიის და მის შემადგენლობაში შემავალი სოფლების სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

*ათასლარში*

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024წლის პროექტი | 2025წლის პროგნოზი | 2026წლისპ როგნოზი | 2027 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| **03 00** | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1708800 | 1815800 | 1930800 | 2159800 |
| **03 01** | აიპ "მესტიის დასუფთავება და კეთილმოწყობის სამსახური" | 1708800 | 1815800 | 1930800 | 2159800 |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 03 01 | | | 1708800 | 1815800 | 1930800 | 2159800 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | მესტიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა გარემოს დასუფთავებასთან და დაცვასთან დაკავშირებით, დასუფთავების სერვისით მომსახურეობის უზრუნველყოფა: კონტეინერების განთავსება საჭირო ადგილებში, მათი ნაგვისგან დაცლა გრაფიკისა და საჭიროების მიხედვით, დაბა მესტიაში ქუჩების დაგვა/დასუფთავება, ცენტრალური გზის პირებზე (უშგული-მესტია და მესტია ჯვარის ცენტრალური გზა ჩანჩქერამდე) ნარჩენების შეგროვება და გატანა. ზაფხულში დაბა მესტიის შიდა გზებზე ქუჩების რეცხვა/მტვრისგან განთავისუფლება. ზამთრის პერიოდში ამავე შიდა გზების თოვლისგან გაწმენდა. | | | | | |
| პროგრამის მიზანი | მესტიის მუნიციპალიტეტის სრულად მოცვა დასუფთავების სერვისით, მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სუფთა მუნიციპალიტეტი, გაზრდილი ცნობიერება | | | | | |

## განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა,რადგან უზრუნველყოფილი იყოს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიანი მომზადება სასკოლო განათლების მისაღებად.

(ათ.ლარი)

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024წლის პროექტი | 2025წლის პროგნოზი | 2026წლის პროგნოზი | 2027 წლისპროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| **04 00** | **განათლება** | **2036800** | **2190000** | **2280000** | **2570000** |
| **04 01** | **სკოლამდელი განათლების დაფინანსება** | **2036800** | **2190000** | **2280000** | **2570000** |

| კოდი | პროგრამის დასახელება | სკოლამდელი განათლება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 04 01 | | | **2036800** | **2190000** | **2280000** | **2570000** |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)აიპი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება | | | | |
| პროგრამის აღწერა | | მესტიის მუნიციპალიტეტში სულ 24 საბავშვო ბაღია. რეგისტრირებულია 444 აღსაზრდელი,სულ სკოლამდელდაწესებულებებში დასაქმებულია 195 თანამშრომელი, შტატგარეშე-3 და 32 სოციალური პროგრამით დასაქმებული. . ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება:სტანდარტების შესაბამისი გარემოს მომზადება თითოეული საბავშვო ბაღში ავტორიზაციის პროცესების გასავლელად,მეთოდოლოგიის დახვეწა, შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა,აღსაზრდელთა უსაფრხთოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო,შენობა,ინვენტარი და სხვა.) განვითარება.ჰასპის სისტემის დანერგვა ახალ საბავსვო ბაღებში.,სახანრო უსაფრთხოების, ,საგაგანგებო სიტუაციების | | | | |

| | |
|---|---|
| | პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების სავალდებულო ღონისძიებების ჩატარება.საბავშვო ბაღების პერსონალისთვის სატრენინგო მომსახურების შესყიდვა. |
| პროგრამის მიზანი | **სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში, ბავშვებში (აღსაზრდელებში) იმ აუცილებელი ცოდნის, უნარ–ჩვევებისა და ქცევის ნორმების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს მათ მზადყოფნას სკოლაში სწავლისა და ყოველდღიური ცხოვრებისათვის..**<br>**აღსაზრდელის აზროვნების სწორი და ჯანსაღი განვითარებისთვის, ემოციურ სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებისა და მისი ფიზიკურ-ზნეობრივი და ესთეთიკური აღზრდისთვის საფუძველის ჩაყრა;**<br>**ბავშვის განვითარებაზე ზრუნვა ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;**<br>**ინკლუზიური 1 განათლების ხელშეწყობა;ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა,უსაფრთხო ,მრავალფეროვანი ,დაბალანსირებული კვება, მატერიალურ-ტექნიკური პირობები,მომავალი თაობის სრულფასოვანი და კომფორტული გარემოს შექმნა.** |
| მოსალოდნელი შედეგი | **გაუმჯობესებული, ბავშვზე ორიენტირებული სააღმზრდელო პროცესი,სტანდარტების შესაბამისი გარემო; კვალიფიციური პერსონალი,** |

## კულტურა,ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

| პროგრ | დასახელება | 2024წლ ისპროე | 2025წლ ისპროგნ | 2026წლ ისპროგნ | 2027წლ ისპროგნ |
|---|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 3245600 | 3519810 | 3775000 | 4551000 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 1185500 | 1280000 | 1375000 | 1700000 |
| 05 01 01 | ა(ა)იპ სპორტული სკოლების გაერთიანება | 1105500 | 1190000 | 1280000 | 1560000 |
| 05 01 02 | აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობა | 80000 | 90000 | 95000 | 140000 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 1327100 | 1459810 | 1555000 | 1751000 |
| 05 02 01 | ბიბლიოთეკების დაფინანსება | 145600 | 155160 | 165000 | 175000 |
| 05 02 02 | ა.აიპ "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი" | 1050000 | 1160000 | 1230000 | 1400000 |
| 05 02 03 | კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი | 131500 | 144650 | 160000 | 176000 |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 270000 | 280000 | 290000 | 400000 |
| 05 04 | აიპ სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლანდ | 463000 | 500000 | 555000 | 700000 |

| კოდი | პროგრამის დასახელება | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 01 | | | 1185500 | 1280000 | 1375000 | 1700000 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | ადამიანისათვის ფიზიკური აქტივობა აუცილებელია, იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მის როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ განვითარებაზე, ის აძლიერებს იმუნიტეტს და ანვითარებს ტვინის უჯრედებს. სპორტს გააჩნია როგორც აღმზრდელობითი, ისე გამაჯანსაღებელი ფუნქცია. სპორტით დაკავება საუკეთესო საშუალებაა ჭარბი წონის, სიგარეტზე დამოკიდებულების თუ სხვა მანკიერი თვისების თავიდან ასარიდებლად.<br>სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით:<br>ჯანდაცვის სტასტისტიკური მონაცემების საფუძველზე, მოსახლეობაში პროგრესულად არის გაზრდილი არაგადამდებ დაავადებათა მაჩვენებლების სიხშირე, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში (ტანადობის დარღვევა, სქოლიოზი, კიფოზი, ჭარბწონიანობა, გულსისხლძარღვთა, სიმსივნური და | | | | |

| | |
|---|---|
| | სხვა არაგადამდები დაავადებები);<br>აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია. მესტიის მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.<br>პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:<br>- სპორტული სკოლების გაერთიანების დაფინანსება<br>- აქტიური ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა |
| პროგრამის მიზანი | 1. სპორტის არსებული სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია. 2. მომავალი თაობის მასიური ჩართულობა სპორტში. 3. წარმატებული და პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, განვითარება და ხელშეწყობა. |
| მოსალოდნელი შედეგი | ახალგაზრდების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, აქტიური ახალგაზრდა სპორტსმენების სპორტული მიღწევები.ფილი საზოგადოების |

| კოდი | პროგრამის დასახელება | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 01 01 | | | 1105500 | 1190000 | 1280000 | 1560000 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი | | | | | |
| პროგრამის აღწერა | მესტიის მუნიციპალიტეტისა სპორტული ცენტრი ემსახურება მუნიციპალიტეტის მაშტაბით სპორტის 12 სახეოხას (სასკოლოო ასაკის ფარგლებში). კერძპდ: ძიუდო, კრივი, მკლავჭიდუ, სამთო-სათხილამუროო სპორტი, სნოუბორდი, სამბო, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, ფეხბურთი, ფრენბურთი, საციგაო სპორტი. აღნისნულ სახეობებში ჯგუფები ფუნქციონირებს ს. ხაისიდან - ს. უსგულამდე. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია 115 თანამშრომელი, მათგან 60 მწვრთნელი. მუნიციპალიტეტის მაშტაბით, აღნისნულ სპორტულ აქტიობებში ჩართულია 360 აღსაზრდელი, მათგან 70 გოგონა. სპორტული ცენტრი უზრუნველყოფს აღსაზრდელთა მაქსიმალურ ჩართულობას სპორტულ პროცესებშუ, როგორც | | | | | |

| | |
|---|---|
| | სავარჯიშო, ასევე საშეჯიბრო თვალსაზრისით. თვითოეულ სახეობაში ეწყობა სხვადასხვა მაშტაბის სპორტული ღონისძიებები (შეჯიბრებები). ასევე აღსაზრდელები მონაწილეობენ გასვლკით ღონისძიებებშიც, როგორც საქართველოს მაშტაბით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ს. იფარში, ს. მულახში, დ. მესტიაში, ს. ლენჯერში, ს. ლატალში, ს. ფარში, ს. ხაიშშიდა ს. ნაკრეში ფუნქციონირებს შესაბამისი ხარისხის სპორტ - კომპლექსები და სპორტული დარბაზები. ასევე სპორტული მოედნებიც. |
| **პროგრამის მიზანი** | 1. სპორტის არსებული სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია. 2. მომავალი თაობის მასიური ჩართუობა სპორტში. 3. წარმატებული და პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, განვითარება და ხელშეწყობა. |
| მოსალოდნელი შედეგი | ახალგაზრდების სპორტში ჩართულობის დონის ამაღლება |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | აქტიური სპორტსმენების და ახალგაზრდების ხელშეწყობა | 2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 01 02 | | | 80000 | 90000 | 95000 | 140000 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური | | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა | | **ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:აქტიური სპოტსმენების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა,საზღვრებს გარეთ ასპარეზობის შემთხვევაში მათი ფინანსური მხარდაჭერა** | | | | |
| პროგრამის მიზანი | | წარმატებული და პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, განვითარება და ხელშეწყობა. | | | | |
| **მოსალოდნელი შედეგი** | | ახალგაზრდების სპორტში ჩართულობის დონის ამაღლება | | | | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 | | | **1327100** | **1459810** | **1555000** | **1751000** |

| | |
|---|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური |
| **პროგრამის აღწერა** | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ბიბლიოთეკების, კულტ-სახლების განვითარება და პოპულიზაცია.<br>ასევე ისტორიული ძეგლების აღრიცხვა,შენარჩუნება და რეაბილიტაცია. |
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია კულტურის დარგების შენარჩუნება, დაცვა და განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნა. |
| მოსალოდნელი შედეგი | რეაბილიტირებული მემკვიდრეობითი ძეგლები,<br>გაზრდილი მკითხველთა რაოდენობა,<br>კულტურული დარგების პოპულიზაცია |

| კოდი | პროგრამის დასახელება | კულტურის ხელშეწყობა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 01 | | | 145600 | 15516<br>0 | 16500<br>0 | 17500<br>0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა) იპ მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა | | | | |
| პროგრამის აღწერა | | ბიბლიოთეკები იყო წიგნების შენახვის ადგილი. მხოლოდ ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მშენებლობის შემდეგ  ბიბლიოთეკები გადაიქცა ინსტრუმენტად, რომლის მიზანია კაცობრიობის მეხსიერების უცვლელი შენარჩუნება. ძველ ეგვიპტელებს, ბერძნებსა და რომაელებს სურდათ ამ ადგილისთვის კოსმოპოლიტური და ტოლერანტული იდეალის დაბეჭდვა. დღეს ბიბლიოთეკების როლი არის ხელი შეუწყონ მომხმარებელთა ცოდნის ხელმისაწვდომობას, შეიქმნას და შეინარჩუნონ თანმიმდევრული და დალაგებული კოლექცია და ხელი შეუწყონ ახალი კულტურული ჩანაწერების შექმნას. მესტიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 ბიბლიოთეკა: მესტიის მთავარი ბიბლიოთეკა საბავშვო ბიბლიოთეკა და 13 სასოფლო ბიბლიოთეკა .საბიბლიოთეკო დაწესებულებაში დასაქმებულია 26 თანამშრომელი.ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ბიბლიოთეკებისთვის სკოლებთან თანამშრომლობა.სამომავლოდ განსაზღვრულია სოფლის ბიბლიოთეკების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა, შრომითი პირობების გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება. | | | | |
| პროგრამის მიზანი | | მესტიის მუნიციპალიტეტის მთავარიბიბლიოთეკის მიზანია მოსახლეობის განათლება, ინფორმაციის მიწოდება, წიგნიერების დანერგვა, ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების გამოყენებით. ბავშვებში და აალგაზრდებში ადრეული ასაკიდა ხალისითა და თამაშით კითხვის უნარჩვევების განვითარება და აგრეთვე მდიდარი საცავების შეთავაზებით პიროვნების შემოქმედებითი განვითარება. | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | | 1. ბიბლიოთეკების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფადა ელექტრონული ბიბლიოთეკების განვითარება. 2. საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლება. 3.საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნისადმი დაინტერესება.4. ბიბლიოთეკის ღონისძიებებში მონაწილეობით მოზარდებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება. | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02<br>02 | | | 1050000 | 116000<br>0 | 123000<br>0 | 140000<br>0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი | | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა | ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრში მესტიის მუნიციპალიტეტის მაშტაბით ფუნქციონირებს 1 დაბა მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრი და 8 ტერიტორიული ერთეულის კულტურის ცენტრი, დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 130 მოსწავლის სწავლება.კულტურის და ხელოვნების ცენტრში  დაწესებულებებში დასაქმებულია 117 თანამშრომელი, აქედან 72 მამაკაცი და 45 ქალბატონი ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის მომსახურებით სარგებლობს 175 ახალგაზრდა,ააიპ კულტურის და ხელოვნების ცენტრი უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის ხელოვნების და კულტურული დარგების მიწოდებას. ააიპ-ის ფუნქციონირების ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია სწავლება შემდეგ დარგებში: ხატვა რეწვა, გობელენი, თექა, აპლიკაცია და კოლაჟი, ხის მხატვრული დამუშავება, ფორტეპიანო, სოლფეჯიო, ქართული ხალხური ცეკვა,  ქართული ხალხური სიმღერა, ქართული ხალხური საკრავები, გიტარა, ვოკალი, სასცენო მეტყველება, სასცენო მოძრაობა, პანტომიმა, მსახიობის ოსტატობა, მხატვრული კითხვა. |
| პროგრამის მიზანი | კულტურის და ხელოვნების დარგში ჩართული მოქალაქეების რაოდენობის ზრდა |
| მოსალოდნელი შედეგი | კულტურის სფეროში ხარისხიანი პროდუქციის შექმნა |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა პატრონობა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 03 | | | 131500 | 144650 | 160000 | 176000 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ. მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი | | | | |
| პროგრამის აღწერა | | „ა(ა)იპი „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი“-ს (ს/კოდი 435891812) წესდების მიხედვით გათვალისწინებული ავთენტური სამშენებლო  მასალების წარმოების აღორძინება ადგილობრივი რესურსების და მივიწყებული ტექნოლოგიების საფუძველზე, ვინაიდან რესტავრაცია UNESCO-ს საერთაშორისო ქარტიების მოთხოვნით უნდა ხორციელდებოდეს ავთენტური მასალების გამოყენებით. აქედან გამომდინარე დაგეგმილი გვაქვს ადგილზე შეიქმნას ავთენტურ სარესტავრაციო-სამშენებლო მასალათა წარმოებები, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას,მოგების კვლავ ჩაბრუნებას რესტავრაციაში და რაც მთავარია აღვადგენთ ისტორიულად დამკვიდრებულ მასალათა წარმოების ტექნოლოგიებს,რათა შემდგომში სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდეს კვალიიკაციურად UNESCO-ს ქარტიათა შესაბამისად. კერძოდ: 1) კირის გამოწვა სვანური ტექნოლოგიით, რაც ჩაერთვება ასევე ტურისტულ სანახაობაში. 2) სვანეთისთვის დამახასიათებელი იყო თიხა-ფიქალის ქვის სახურავები,ამდენად | | | | |

| | |
|---|---|
| | უნდა შეიქმნას ფიქალის ქვის „ყავრის“ წარმოება, რომელიც იდეალური მასალაა გადახურვებში. 3)ასევე გადახურვის ავთენტურ მასალას წარმოადგენდა ხის ყავარი,რაც ქმნის ეგზოტიკურ სახეს სვანურ არქიტექტურაში,ამდენად საჭიროება მოითხოვს ხის ყავრის წარმოებას. 4)ძველი სვანური საცხოვრებლის „მაჩვიბის“ ინტერიერი წარმოადგენს ხეზე კვეთის უნიკალურ ნიმუშს,რომლებიც საჭიროებენ დაუყოვნებელ აღდგენა რესტავრაციებს,ამდენად საჭიროა შევქმნათ ხის დამამუშავებელი საამქროები.. 5)ასევე მივიწყებას მიეცა ისეთი მნიშვნელოვანი ხელობა როგორიცაა მჭედლობა, სვანეთი გამორჩეულია ამ სფეროში არსებული არტეფაქტებით.. 6) სვანეთში ეკლესიები ნაშენია ძირითადად შირიმის ქვის ბლოკებით ,ნაკვეთი ჩუქურთმებით, სამწუხაროდ მივიწყებულია და მოითხოვს აღორძინებას... ამოქმედებული საწარმოოები ხელს შეუწყობს როგორც სამუშაო ადგილების შექმნას ,ასევე მივიწყებული დარგების აღორძინებას , და ეკონომიური შემოსავლის შექმნასთან ერთად სასწავლო პროგრამების განხორციელებას |
| პროგრამის მიზანი | მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვალიფიციური რესტავრაციის ხელშეწყობა ავთენტური მასალების გამოყენებით |
| მოსალოდნელი შედეგი | ძეგლების კვალიფიციური რესტავრირება |

| კოდი | პროგრამის დასახელება | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 03 | | | **270000** | **280000** | **290000** | **400000** |

| | |
|---|---|
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | **მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური** |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:<br>,,მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ **პირველკურსელთა თანადაფინანსება**" მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფინანსდება ყველა პირვეკლურსელი 1500 ლარით, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგან ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში.<br>სვანეთის მასშტაბით ხორციელდება **სასწავლო- სამეცნიერო ექსპედიციები**. რის შედეგადაც ვლინდება მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები.<br>**"ეტალონი"** საქართველოს მასშტაბით ყველაზე პოპულარული, ინოვაციური საგანმანათლებლო- შემეცნებითი პროექტია, რომელშიც ცართულია მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლები,<br>**ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის** სხვადასხვა აქტივობების მხარდაჭედა, **,საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა**", სადაც ჩართულია საქართველოს მასშტაბით 1600-ზე მეტი სკოლა,<br>**,,გემოფესტი 2024**" გასტრონომიული ფესტივალი,<br>კალას ადმინისტრაციულ ერთეულში **,,ხალდეობა"** დღესასწაულის აღნიშვნა |
| პროგრამის მიზანი | მომავალ თაობის განათლებაზე ზრუნვა. მოსწავლეებში განათლების ხელშეწყობა, მოტივაციის გაზრდა და წახალისება. ტურისტული პოტენციალის გაზრდა |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | განათლებული და განვითარებული მომავალი თაობა |

| კოდი | პროგრამის დასახ | | 2024წლის დაფინანსებათასლარ | 2025წლის დაფინანსებათასლარ | 2026წლის დაფინანსებათასლარ | 2027წლის დაფინანსებათასლარ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 0504 | | სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია | 463000 | 500000 | 555000 | 700000 |
| პროგრამისგანმახორციელებე | | ა(ა)იპ – სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია | | | | |
| პროგრამის აღწერა | | ა(ა)იპ – სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია<br>,,შანლანდი“ უზრუნველყოფს ტურისტული სეგმენტისთვის სვანეთის კულტურული და ტრადიციული პროდუქტების მიწოდებას, რაც აძლევს მომხმარებლებს საშუალებას აირჩიოს და გაეცნოს იმ ტურისტულ ადგილებს, პროდუქტებს, მიმართულებეს რაც მათთვის იქნება საინტერესო.<br>ორგანიზაცია ატარებს საინფორმაციო აქტივობებს, იწვევს ინფლუენსერებს და მათი მეშვეობისთ სვანეთის ღირსშესანიშნაობებს აცნობს სხვა ქვეყნებს. | | | | |
| პროგრამის მიზანი | | არსებული კულტურის და ხელოვნების დარგების შენარჩუნება, განვითარება, მოსახლეობის მაქსიმალური ჩრთულობა, ტურისტული პროდუქტის შექმნა და მომხმარებლებისათვის მიწოდება. | | | | |
| შედეგი | | ] ტურიზმის ხელშეწყობა | | | | |

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა დასოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება სდასხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2024წლის პროექტი | 2025წლისპროგნოზი | 2026წლის პროგნოზი | 2027წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1483200 | 1558000 | 1664400 | 1895000 |
| 06 01 | მოსახლეობის ჯანდაცვის ხელშეწყობა | 500200 | 505000 | 542400 | 565000 |
| 06 01 01 | აიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვა | 95200 | 100000 | 107000 | 115000 |
| 06 01 02 | მესტიის სავადმყოფოს-ამბულატორიული გაერთიანების თანადაფინანსება | 405000 | 405000 | 435400 | 450000 |
| 06 02 | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 710000 | 760000 | 800000 | 900000 |
| 06 03 | სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება | 100000 | 110000 | 115000 | 140000 |
| 06 04 | უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა | 55000 | 60000 | 70000 | 100000 |
| 06 05 | შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსება | 103000 | 103000 | 110000 | 150000 |
| 06 06 | ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამა | 15000 | 20000 | 27000 | 40000 |

<table>
<tr><td>კოდი</td><td rowspan="2">პროგრამის დასახელება</td><td rowspan="2">სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება</td><td>2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td><td>2025 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td><td>2026 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td><td>2027 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td></tr>
<tr><td>06 01</td><td>500200</td><td>505000</td><td>542400</td><td>565000</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</td><td colspan="5">მესტიის მუნიციალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის აღწერა</td><td colspan="5">პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, ასევე შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, რაც საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს.</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის მიზანი</td><td colspan="5">მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ;ავადობის პრევენცია და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირება. ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა</td></tr>
<tr><td colspan="2">მოსალოდნელი შედეგი</td><td colspan="5">ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, დაავადებათა გამოვლენის უზრუნველყოფა ადრეულ ეტაპზე</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>კოდი</td><td rowspan="2">პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება</td><td rowspan="2">საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</td><td>2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td><td>2025 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td><td>2026 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td><td>2027 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში</td></tr>
<tr><td>06 01 01</td><td>95200</td><td>100000</td><td>107000</td><td>115000</td></tr>
<tr><td colspan="2">ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</td><td colspan="5">ააიპ მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</td></tr>
<tr><td colspan="2">პროგრამის აღწერა</td><td colspan="5">ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:<br><br>1.იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა (ვაქცინების მიწოდება ამჯრელ დაწესებულებებში, ანგარიშგება, მონიტორინგი)<br>2. ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა (ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სტრატეგიული შრატების და ვაქცინების მიწოდება , ანგარიშგება და მონიტორინგი შემსრულებელ დაწესებულებასთან.).<br>3.დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა ( კომბინირებული ტესტების მიწოდება, ანგარიშგება, მონიტორინგი ).<br>4.ახალი კორონავირუსული დაავადების Covid 19 მართვის</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | სახელმწიფო პროგრამა( ტესტების მიწოდება, ანგარიშგება, კონტაქტების მიდევნება)<br>5. C ჰეპატიტის და აივ-ინფექცია/შიდსის მართვის პროგრამა( ტესტების მიწოდება, ანგარიშგება, დადებითი შედეგების მიდევნება)<br>6.განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების მიდევნება.<br>7.გადამდები და არაგადამდები დაავადებების მეთვალყურეობა ( ტუბერკულოზი, ბ ჰეპატიტი, დიარა, ჰიპერტენზია და ა.შ.) |
| პროგრამის მიზანი | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა დაავადებების პრევენცია, ავადმყოფობის გამოვლენის შემცირება. |
| მოსალოდნელი შედეგი | ჯანმრთელი მოსახლეობა. |

| კოდი | პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება | შპს მესტიის საავადმყოფოს-ამბულატორიული გაერთიანების თანადაფინანსება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 01 02 | | | **405000** | **405000** | **435400** | **450000** |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | შპს მესტიის საავადმყოფოს-ამბულატორიული გაერთიანება |
| პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქირურგის დაქირავება,განთავსება.<br>მოგეხსენებათ მესტია გეოგრაფიულად საკმაოდ შორსაა ქალაქისგან და ამავე დროს არის ტურისტული ზონა,სადაც სათხილამურო სეზონია და ხშირი არის ტრავმირებული მოქალაქეების მიღების აუცილებლობა.<br>აქედან გამომდინარე აუცილებელია ადგილზე შეეძლოს მოსახლეობას ტრავმატოლოგის მომსახურების მიღება.<br>მერიამ გაითვალისწინა რა საკუთარი მოქალაქეების ინტერესი გამოყო თანხები აღნიშნულის დასაფინანსებლად. |
| პროგრამის მიზანი | მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა |

| | |
|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | ტრავმირებული მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა. |

| კოდი | პროგრამის დასახელება | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 02 | | | 710000 | 760000 | 800000 | 900000 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მესტიის მუნიციალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებს. პროგრამების ძირითადი ნაწილი ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ახალშობილების, შშმ პირების და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფას, როგორც სერვისების დაფინანსების, ასევე ფულადი დახმარების გაცემის გზით. აღნიშნული პროგრამა მოიცავს ქვეპროგრამებს:1.1. მარჩენალდაკარგული ოჯახების (0-დან 18 წლის ასაკამდე) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა .<br>1.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.<br>1.3. სოციალურად დაუცველის, შშმ. ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის მქონე მარტოხელა ხანდაზმულების (საპენსიო ასაკის მქონე) სოციალური დაცვის ქვეპროგრამა.<br>1.4. ხანდაზმულების (90 წელი და ზემოთ) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.<br>1.5. ომის მონაწილე ვეტერანების და ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.<br>1.6. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.<br>1.7. გარდაცვლილ დევნილთა და ვეტერანთა ოჯახებზე სარიტუალო მომსახურებისთვის, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.<br>1.8. ახალშობილებზე ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.<br>1.9. მრავალშვილიან (არასრულწლოვანი ხუთი შვილი და ზემოთ) ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა .<br>1.10. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.<br>1.11. ონკოლოგიური ავადმყოფების და ფსიქიკურად დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა.<br>1.12. დიალიზით მოსარგებლე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა .<br>1. 13.ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამა . | | | | | |
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია მოწყვლადი მოსახლეობის სოციალური დახმარება და საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, მათი ცხოვრების ხარისხის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშეწყობა, სამიზნე ჯგუფის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა. | | | | | |

| | |
|---|---|
| | |
| მოსალოდნელი შედეგი | როგრამის ფარგლებში მოსალოდნელია სამიზნე ჯგუფის დროული დიაგნოსტიკა , ჯანმრთელობის გაუმჯობესება და სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. |

| კოდი | პროგრამის დასახელება | სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 | | | 100000 | 110000 | 115000 | 140000 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | მესტიის მუნიციალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | პროგრამა ეხება სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებულ ოჯახებს. დაზარალებული ოჯახებისთვის დახმარების გაწევა ხდება სოციალური დახმარების გაცემის საბჭოს წევრთა მიერ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, თანხის რაოდენობის განსაზღვრისას დახმარების გაცემის საბჭოსთან ერთად გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი. აღნიშნული პროგრამა მოიცავს ქვეპროგრამებს:1. ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა. 2. სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება. | | | | |
| პროგრამის მიზანი | | აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებული ოჯახების დახმარების გაწევა მათთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | | სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებული ოჯახებისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ერთჯერადი (ფულადი) დახმარების გაწევა დაზარალებული ოჯახების პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენის მიზნით. | | | | |

| კოდი | პროგრამის დასახელება | უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 04 | | | 55000 | 60000 | 70000 | 100000 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა.აიპ მესტიის მუნიციალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 6-დან 18 წლამდე | | | | |

| | |
|---|---|
| | ასაკის საშუალო და მსუბუქი ინტელექტუალური სფეროს დარღვევის, ასევე, ქცევითი დარღვევით გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის დღის ცენტრის მომსახურების შეთავაზება ყოველდღიურად (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 6 საათის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარებისთვის ცენტრში გატარებული მინიმალური დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები; სამიზნე ჯგუფის საჭიროებების (ფსიქიკური, შემეცნებითი, ემოციური, ფიზიკური) გამოვლენა და მათ დაკმაყოფილებაზე ზრუნვა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და საზოგადოებაში ფუნქციონირების ყოველდღიური უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა. სერვისის მიწოდების დროს ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც არის სტანდარტის შესაბამისად სამი კომპონენტის შემცველი. |
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გონებრივი ან/და ფიზიკური შეფერხების ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა. მშობლების ცნობიერების ამაღლება. ასევე ზრდასრულთა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად, პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა. პროფესიულ, საგანმანათლებლო და ინკლუზიურ-პროფესიული განათლების ხვედრითი წილის გაზრდა და ხელშეწყობა. |
| მოსალოდნელი შედეგი | • ბენეფიციართა სოციალიზაცია<br>• საზოგადოების ცნობიერების ამაღლება<br>• ფუნქციური და თვითმოვლის უნარ-ჩვევების განვითარება<br>• დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების განვითარება<br>• ფიზიკური და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება |

| კოდი | პროგრამის დასახელება | | 2024 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2026 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში | 2027 წლის დაფინანსება<br>ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 06 | | ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა | **15000** | **20000** | **27000** | **40000** |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | მესტიის მუნიციალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური | | | | |

| | |
|---|---|
| **პროგრამის აღწერა** | პროგრამის ფარგლებში კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ბავშვებს სოც. მუშაკთა შეფასების და საჭიროების დადგენის მიხედვით ხდება შესყიდვა და გადაცემა სასკოლო ,საკანცელარო ნივთების და ჰიგიენური საშუალებების. ხოლო სპეციალური კვების საჭიროების მქონე ბავშვების სპეც. საკვებით უზრუნველყოფა .აღნიშნული პრგრამა მოიცავს ქვეპროგრამებს:• კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამა.<br>• კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსების ქვეპროგრამა. |
| **პროგრამის მიზანი** | 1.აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება.<br>2. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების სისტემის სრულყოფა.<br>3. სოციალური დახმარების პრიორიტეტების გამოკვეთა.<br>4. მოქალაქეთა განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის რეაბილიტაციისა და გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა.<br>5. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის /ბავშვებისთვის მატერიალური დახმარების გაწევა, მონაცემთა ბაზის წარმოება. |
| **მოსალოდნელი შედეგი** | პროგრამით მონაწილე მიზნობრივი ჯგუფის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემსუფუქება , დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშეწყობა/გაუმჯობესება , მათი წახალისება განათლების მიღების ხელშეწყობა, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა. |

## მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:სარეზრვო ფონდი, შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები , მუნიციპალიტეტის ვალდებულზებების (სესხები,სასამართლოგადაწყვეტილებები) მომსახურება.

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2024 წლის გეგმა | 2025წლის პროგნოზი | 2026წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 7738000 | 8308590 | 8835000 | 9300000 |
| 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 1597000 | 1714590 | 1790000 | 1860000 |
| 01 02 | მესტიის მუნიციპალიტეტის მერია | 5285955 | 5650000 | 6050000 | 6350000 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 380000 | 450000 | 490000 | 550000 |
| 01 04 | წინა პეროდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი | 346700 | 350000 | 350000 | 370000 |
| 01 04 02 | მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა | 346700 | 350000 | 350000 | 370000 |
| 01 04 03 | სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები | 0 | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01 05 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 128345 | 144000 | 155000 | 170000 |